სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2019 წლის 15 მაისის №05-01/03 გადაწყვეტილების
დანართი

პლაგიატის პრევენციისა და რეაგირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში-უნივერსიტეტი) პლაგიატის პრევენციის, მისი გამოვლენისა და მასზე რეაგირების წესს.

2. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ ინტელექტუალური საკუთრების არსი, ისინი უნდა იცავდნენ და აღიარებდნენ საავტორო უფლებებს, მათთვის მიუღებელი უნდა იყოს პლაგიატი.

მუხლი 2. აკადემიური ეთიკის დარღვევის სახეობები

უნივერსიტეტში აკადემიური ეთიკის დარღვევად მიიჩნევა:

ა) პლაგიატი, რაც გულისხმობს სხვის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის ან მისი ნაწილის როგორც საკუთარის წარმოდგენა და გამოყენება, ავტორის შესაბამისი მითითებისა და საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის გარეშე;

ბ) კომპილაცია, რაც გულისხმობს საავტორო უფლებით დაცული, სხვის მიერ მიღებული კვლევითი შედეგების, ნაშრომების გამოყენებას, დაჯგუფებას, წყაროების საკუთარი დამუშავების და ინტერპრეტაციის გარეშე ნაშრომის შექმნით;

გ) ფაბრიკაცია/ფალსიფიკაცია, რაც გულისხმობს ნაშრომში მონაცემების ცვლილებას, მონაცემებით მანიპულირებას, მიღებული შედეგების შერჩევითად გამოყენებას, წყაროების, შედეგების ან მეთოდოლოგიის, გრაფიკებისა და გამოსახულებების ჩათვლით, შესაბამისი აღნიშვნის გარეშე - რაც იწვევს შედეგებისა და დასკვნების არასწორ ინტერპრეტაციას.

მუხლი 3. პლაგიატის პრევენცია

პლაგიატის პრევენცია მოიცავს რამდენიმე ასპექტს:

ა) სტუდენტის თვითშეგნების ამაღლება აკადემიური წერის სასწავლო კურსის ფარგლებში;

ბ) პერსონალის ვალდებულება შეიმუშაოს და დანერგოს სწავლებისა და შეფასების ისეთი მეთოდები, რაც გამორიცხავს პლაგიატს;

გ) საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა პლაგიატის თემაზე;

დ) საინფორმაციო ბუკლეტების მომზადება პლაგიატის შესახებ;

ე) პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში სანქციების შესახებ ინფორმაციული კამპანიის წარმოება;

ვ) ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე ხელმძღვანელმა სტუდენტს უნდა აუხსნას წყაროებთან მუშაობის, სხვისი ციტატების/მონაცემების/გამოსახულებების/სხვ. გამოყენების და ნაშრომში ასახვის წესები, განუმარტოს აკადემიური ეთიკის არსი, შესრულების მნიშვნელობა და მათი დარღვევისათვის დაწესებული სანქციები;

ზ) სტუდენტის ინფორმირება იმის შესახებ, რომ საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს ნაშრომის ავტორის წერილობითი დადასტურება ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ, კერძოდ, რომ ნაშრომი შესრულებულია მის მიერ, წარმოადგენს მის ორიგინალურ ნამუშევარს და არ გამოუყენებია მითითებულის გარდა სხვა ლიტერატურა.

მუხლი 4. პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმები

1. სტუდენტის შემთხვევაში სასწავლო კურსის ლექტორი ვალდებულია შეამოწმოს ნაწერი სილაბუსით გათვალისწინებულ ძირითად ლიტერატურასთან და მოახდინოს შესაბამიის რეაგირება.

2. ნაშრომის ხელმძღვანელი, რეცენზენტი ვალდებულია ნაშრომი გადაამოწმოს შემდეგი მიმართულებებით:

ა) ნაშრომის სქოლიოში მითითებული ლიტერატურის შედარება ნაშრომის თავებთან/პარაგრაფებთან/აბზაცებთან;

ბ) თემასთან დაკავშირებით არსებულ ძირითად ლიტერატურასთან, რომელიც არ არის მითითებული სქოლიოში.

3. პლაგიატის აღმოჩენის ერთ-ერთი მექანიზმია ნაშრომის ანტიპლაგიატის ელექტრონულ პროგრამაში შემოწმება.

მუხლი 5. პლაგიატზე რეაგირების მექანიზმები

1. სასწავლო პროცესში სტუდენტის მხრიდან პლაგიატის ჩადენის შემთხვევაში შესაბამისი პერსონალი (აკადემიური/მოწვეული) უფლებამოსილია სტუდენტს გაუფორმოს შეფასება - „0“ და მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.

2. სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განხილვის ეტაპზე ნაშრომი არ უნდა იქნეს დაშვებული საჯარო დაცვაზე და შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა წარედგინოს ფაკულტეტის დეკანს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების წარმართვის მიზნით. რეცენზენტის მიერ ნაშრომის შეფასების ეტაპზე პლაგიატის

გამოვლენის შემთხვევაში ამის შესახებ უნდა მიეთითოს რეცენზენტის დასკვნაში და წარედგინოს დეკანს შემდგომი რეაგირებისათვის.

3. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში ნაშრომი ექვემდებარება გაუქმებას, ამასთან დამრღვევის მიმართ უნდა გატარდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებები.

4. აკადემიური პერსონალთან მიმართებით პლაგიატის ეჭვის არსებობის შემთხვევაში საკითხი განხილულ უნდა იქნეს კონფიდენციალურად და პლაგიატის დადასტურებამდე ზიანი არ უნდა მიადგეს პერსონალის პრესტიჟს.

5. იმ შემთხვევაში თუ დარღვევის ფაქტი არ დადასტურდება უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აამოქმედებს მის ხელთ არსებულ ყველა მექნიზმს პირის რეპუტაციის აღსადგენად.

6. აკადემიური ეთიკის დარღვევის შემთხვევაში, რექტორის წარდგინებით და აკადემიური საბჭოს დადგენილებით იქმნება აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისია არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით, რომელიც საქმიანობას წარმართავს ეთიკის კოდექსით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

7. პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში გამოიყენება შინაგანაწესით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.